ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3853094

ნომერი: AR1581637

თარიღი : 02.03.2018

გაცემის თარიღი : 09.03.2018

გაცნობის თარიღი : 13.03.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბროსე , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ბოკუჩავა პ/ნ 01017014912
- რ.ჯაფარიძის ქ.40

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ბროსეს ქ. N2–ში, არსებული შენობის მთავარ ფასადზე ამწის შახტისა და მცირე პანდუსის მოწყობის საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ განსახილველი სამუშაოები განეკუთვნება რეკონსტრუქციის ისეთ სახეობას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (პირველი სტადია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება; მეორე სტადია – არქიტექტურული პროექტის შეთანხმება; მესამე სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა).

მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. თქვენს მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო სამუშაოები საჭიროებს მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გავლას – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი განაცხადი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.